ინფორმაცია ბელგიის სამეფოში საქართველოს საელჩოს მეორე მდივნის ნანა ბარბაქაძე ლენარტსის ფლანდრიის მთავრობის საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორ სემ ვანდენაბეელესთან შეხვედრის შესახებ

2019 წლის 10 მაისს, ბელგიის სამეფოსთან ორმხრივი თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, საელჩოს მეორე მდივანი ნანა ბარბაქაძე ლენარტსი შეხვდა ფლანდრიის მთავრობის საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორს სემ ვანდენაბეელეს. შეხვედრა მიზნად ისახავდა ქართული მხარის მიერ წარდგენილი კონკრეტული შეთავაზებების განხილვას, ფლანდრიის მთავრობის მხრიდან ადამიანის უფლებათა რეფორმის პროცესში დახმარების აღმოჩენასთან დაკავშირებით.

ზემოხსენებულ საკითხზე, საქართველოს სხვადასხვა სამინისტროს მხრიდან აქტიური გამოხმაურება მოჰყვა და არაერთმა უწყებამ შეადგინა მათთვის რელევანტური/აქტუალური საჭიროებების ნუსხა. შეხვედრისას, ხსენებული საჭიროებები ქართულმა მხარემ სემ ვანდენაბეელეს გაუზიარა, რომელმაც აღნიშნა, რომ მხარდაჭერის დიდი სურვილი აქვთ, მათი რეგიონული კომპეტენციის ფარგლებში (მაგალითად, **ბავშვთა უფლებების დაცვა, გენდერულ თანასწორობაზე მუშაობა და დისკრიმინაციასთან ბრძოლა** რეგიონული კომპეტენციის საკითხებია). შესაბამისად, შეხვედრისას, მოხდა იმ კონკრეტული საკითხებისა და სფეროების იდენტიფიცირება, რომლებშიც, ფლანდრიული მხარე შეძლებს დახმარებას და გამოცდილების გაზიარებას - **გენდერული თანასწორობა და ბავშვთა უფლებები.** კოლეგებმა სურვილი გამოთქვეს, უმასპინძლონ ქართულ დელეგაციას ბელგიაში და გაუზიარონ გამოცდილება. ვინაიდან გენდერული თანასწორობა და ბავშვთა უფლებები განსხვავებული თემებია, **<u>ბელგიურმა მხარემ საქართველოს ორი სამუშაო ვიზიტის ორგანიზება შესთავაზა:</u>** 1. ბავშვთა უფლებების თემაზე და 2. გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების თემაზე.

1. **ბავშვთა უფლებების თემაზე ვიზიტი**

2015-2019 წლებში, ფლანდრიის მთავრობა ხელმძღვანელობდა ბავშვთა უფლებების სამოქმედო გეგმით, რომელიც ფარავდა/ფარავს შემდეგ საკითხებს: სიღარიბის აღმოფხვრა ბავშვებში, მდგრადი განვითარება, მობილობა, განათლება, კეთილმოწყობა, დასაქმება და კულტურული განათლება. ამჟამად, მიმდინარეობს მუშაობა 2020-2024 სამოქმედო გეგმაზე, რომელშიც ჩართული არიან ბავშვები, ახალგაზრდა მუშაკები, მკვლევარები და სამთავრობო უწყებები. ფლანდრიელებმა გამოთქვეს სურვილი ქართულ დელეგაციას გააცნონ აღნიშნული გეგმის დეტალები და მუშაობის პროცესი.

ბავშვთა უფლებების კომისართან ვიზიტი, დელეგაციის წევრებს, მისცემს საშუალებას გაეცნონ ფლანდრიის პარლამენტის მიერ დაარსებულ ამ კონკრეტულ ინსტიტუტს, რომელიც პასუხისმგებელია და ზედამხედველობს ბავშვთა უფლებების დაცვას ფლანდრიის რეგიონში. გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის საფუძველზე, კომისარი წარუდგენს რჩევებსა და რეკომენდაციებს როგორც ფლანდრიის, ისე ფედერალურ უწყებებს.

ქართულ დელეგაციას მიეცემა შესაძლებლობა, ვიზიტით ეწვიოს ბავშვთა უფლებების ცნობადობის ამაღლების ცენტრს. აღნიშნული ცენტრი დაარსებულია და

ფინანსდება ფლანდრიის მთავრობის განკარგულებით. ხსენებულ ორგანიზაციაში დასაქმებული არიან უნივერსიტეტების მკვლევარები. ცენტრის მიზანია ცნობადობის ამაღლება ბავშვთა უფლებების შესახებ და სხვადასხვა სფეროს პროფესიონალების დაკავშირება ბავშვთა უფლებების სფეროში.

ასევე, ვიზიტის პროგრამაში შესაძლოა, გათვალისწინებულ იქნას ახალგაზრდების კეთილმოწყობის სააგენტოს საქმიანობის გაცნობა, რომელიც თავის თავში აერთიანებს მოსწავლეთა დამხმარე ცენტრებს, ბავშვთა ფსიქიატრიულ ცენტრებს, ისევე როგორც ბავშვთა სასჯელაღსრულებების დაწესებულებებს, რაც სხვა ქვეყნებში ფედერალურ იუსტიციის სისტემაში შედის. ამასთან, შესაძლებელი იქნება ბავშვთა სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონახულება, რაც ძირითადად, სარეაბილიტაციო/თერაპიული ცენტრების სახით ფუნქციონირებს.

ვიზიტის ფარგლებში, ????? შესაძლებელია ბელგიის სკოლებში ვიზიტი, სადაც მნიშვნელოვანი იქნება ბულინგთან ბრძოლის და არასრულწლოვნებში ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიმართულებით გამოცდილების გაზიარება.

ფლანდრიის მთავრობის საჯარო მმართველობის დეპარტამენტში დელეგაციას შესაძლებლობა მიეცემა გაეცნოს სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებს. ასევე, 2014-2019 წლის პრიორიტეტებს: მოსწავლეთა შორის ეთნიკური დისტანციის შემცირება, ინვესტიცია ადგილობრივი ენის უკეთ ათვისებაში - ჰოლანდიური როგორც მეორე ენა, თუ როგორ ხდება ორგანიზება, ტრეინინგი და დახმარება უცხოური წარმოშობის მქონე ბავშვებისათვის. ხსენებულ საკითხზე ადგილობრივი და რეგიონული მმართველობის სააგენტო შეძლებს ქართველი სტუმრების ინფორმირებას.

2. **გენდერული თანასწორობისა და ქალთა როლის გაძლიერების თემაზე სამუშაო ვიზიტი**

ფლანდრიის მთავრობა სურვილს გამოთქვამს, გაუზიაროს ქართველ კოლეგებს ინფორმაცია მათი ჰორიზონტალური და ვერტიკალური პოლიტიკის შესახებ გენდერული თანასწორობის სფეროში. ჰორიზონტალური მიდგომის მიზანია პოლიტიკის ყველა სფეროში თანასწორობის დანერგვა. ფოკუსი: *გენდერი, ხელმისაწვდომობა და დისკრიმინაციის აღმოფხვრა.* შესაბამისად, შემუშავებულია ჰორიზონტალური სამოქმედო გეგმა, რომელსაც კურირებს თანაბარი შესაძლებლობების კომისია, დაკომპლექტებული საჯარო მოხელეებისაგან, რომელშიც ყველა უწყებაა წარმოდგენილი. დელეგაციის წევრებს შესაძლებლობა მიეცემათ, გაიზიარონ გამოცდილება და წამოჭრან მათთვის რელევანტური საკითხები. ფლანდრიის მთავრობაში ასევე მოქმედებს „თანასწორი შესაძლებლობების“ სამუშაო გუნდი, რომელიც ავითარებს ექსპერტიზას თანასწორობისათვის, ფოკუსით ცნობადობის ამაღლებაზე, საკანონმდებლო რეგულაციის დახვეწასა და ფინანსურ დახმარებაზე ორგანიზაციებისა და პროექტებისათვის. ხსენებულ გუნდთან შეხვედრაც საინტერესო იქნება ქართული დელეგაციისათვის, სადაც შესაძლებელია დელეგაციის წევრებისთვის რელევანტური და პრობლემატური საკითხების განხილვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ფლანდრიის მხარე მიიჩნევს, რომ ორი თემატური ვიზიტი სასარგებლო იქნება, ვინაიდან, შესაძლებლობას მისცემს საქართველოს რელევანტური უწყებების წარმომადგენლებს, გაეცნონ ბელგიის პრაქტიკას

და ბელგიელ კოლეგებთან აზრთა ურთიერთგაცვლის საფუძველზე, გამოვლინდეს სამომავლო ორმხრივი თანამშრომლობის სხვადასხვა საკითხები.

ფლანდრიის მხარეს სურს, პირველი ვიზიტი განხორციელდეს 2019 წლის ნოემბრისათვის, ხოლო მეორე - 2020 გაზაფხულისთვის (ყველაზე გვიანი ოფცია). რაც შეეხება სამუშაო ვიზიტის ხარჯებს, ბელგიელი კოლეგების განმარტებით, ფლანდრიის **მთავრობა უმასპინძლებს ქართულ დელეგაციას და აიღებს საკუთარ თავზე ბელგიის ტერიტორიაზე გაწეულ ყველა ხარჯს** *(დახვედრა/გაცილება აეროპორტში, განთავსება სასტუმროში, კვებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და შიდა ტრანსპორტირება).* ბელგიელი კოლეგების განმარტებით, სასურველია ვიზიტი იყოს სრულად 5-დღიანი *(ოთხი დღე სამუშაო შეხვედრებისათვის, ხოლო მეხუთე დღე - თავისუფალი, რაც დელეგაციის წევრებს ბელგიის კულტურის გაცნობის საშუალებას მისცემს, მეექვსე დღეს - საქართველოში დაბრუნება).* გასათვალისწინებელია ისიც, რომ ერთადერთი ხარჯი, რომლის ანაზღაურებასაც ქართული მხარისგან მოელიან არის **ავიაბილეთის შესყიდვა** იმ უწყების მიერ, რომლის წარმომადგენელიც მიიღებს ვიზიტში მონაწილეობას. რაც შეეხება დელეგატების რაოდენობას, სასურველია, თითოეული ჯგუფი დაკომპლექტდეს 10-15 ადამიანისაგან და იყოს შერეული, როგორც სამუშაო დონე, ისე ზემდგომი თანამდებობის პირებით, თითო უწყებიდან მაქსიმუმ ორი წარმომადგენლის მონაწილეობით. ფლანდრიელებმა ასევე აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ბელგიის დესკი ჩაერთოს ხსენებულ ვიზიტებში და ჯგუფთან ერთად ეწვიოს ბელგიას, რადგან ეს მნიშვნელოვნად იმოქმედებს სამომავლო ორმხრივ თანამშრომლობაზე, ვინაიდან სამუშაო ვიზიტების შემდეგ გამოიკვეთება თანამშრომლობის ახალი პერსპექტივები და კონკრეტული პროექტები.